ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №123

2019 წლის 25 სექტემბერი

ქ. ქუთაისი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №13 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05.01.2018, №010250050.35.123.016416), კერძოდ:

1. დადგენილების №1 დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) საგანგებო სიტუაციების, რისკების პრევენციის მართვისა და შრომის უსაფრთხოების განყოფილება.“.

2. დადგენილების №1 დანართის მე-10 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გარეთ (ეზო, ფასადი, სახურავი და სხვა) საბინაო-ინფრასტრუქტურული პროგრამების განხორციელება, მათი ინსპექტირება, შესრულებული სამუშაოების მიღება, საანგარიშსწორებო და სხვა სახის დოკუმენტების მომზადება და მერისათვის წარდგენა კომპეტენციის ფარგლებში;“.

3. დადგენილების №1 დანართს დაემატოს შემდეგი შინაარსის 10^2 მუხლი:

,,მუხლი 10^2. საგანგებო სიტუაციების, რისკების პრევენციის მართვისა და შრომის უსაფრთხოების განყოფილების ფუნქციები

საგანგებო სიტუაციების, რისკების პრევენციის მართვისა და შრომის უსაფრთხოების განყოფილების ფუნქციებია:

ა) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დონეზე ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების შემცირების ღონისძიებების დადგენა;

ბ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში კატასტროფების რისკების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;

გ) საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული სტრატეგიის შესაბამისად რისკების მართვის ადგილობრივი სისტემის დანერგვა;

დ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რისკფაქტორების იდენტიფიცირება, საფრთხეების შეფასება და პრიორიტეტების განსაზღვრა;

ე) ადგილობრივ დონეზე ადამიანური და მატერიალური შესაძლებლობების იდენტიფიცირება;

ვ) ადგილობრივ დონეზე კატასტროფების რისკების მართვის მეთოდოლოგიის შემუშავება;

ზ) ადგილობრივ დონეზე კატასტროფების რისკების მართვის ღონისძიებების დაგეგმვა;

თ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით, შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვა და მართვა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 5 ოქტომბრიდან.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ნიკოლოზ ლატარია**